

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება

მუხლი1. ზოგადი დებულებანი

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და წინამდებარე დებულებისა შესაბამისად.
2. ეს დებულება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად განსაზღვრავს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში-„საბჭო“) კომპეტენციას, უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს.
3. საბჭოს საქმიანობის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებების, ინფრასტრუქტურულ-სოციალური პროექტების განხილვისა და აღნიშნულთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისათვის.

მუხლი2. საბჭოს კომპეტენცია და უფლებამოსილებანი

საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენს მოსაზრებების, წინადადებების, რეკომენდაციების შემუშავება და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისათვის წარდგენა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შესახებ რეკომენდაციის შემუშავება;
- ბ) მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტაციის მომზადების პროცესში მონაწილეობა და მათ შესახებ წინადადებების/მოსაზრებების შემუშავება;
- გ) მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ რეკომენდაციების წარდგენა;
- დ) სხვადასხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში მონაწილეობის მიღება და რეკომენდაციების/წინადადებების შემუშავება;
- ე) ინფრასტრუქტურული, სოციალური და კულტურული ღონისძიებების განხილვა და მოსაზრებების წარმოდგენა;

მუხლი3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.
2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები,

რომელთა რაოდენობაც განისაზღვრება არანაკლებ 10(ათი) წევრით და რომელთაგანაც ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ არის 1/3-ზე ნაკლები;

3. საბჭოს წევრთა საქმიანობა ნებაყოფლობითია და არ წარმოადგენს ანაზღაურებად საქმიანობას;

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბჭოს წევრები იკრიბებიან საჭიროებისამებრ, განსახილველი საკითხების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.
2. საბჭოს სხდომებს იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.
3. საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად განიხილონ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები და მიღებული წინადადებები ან/და რეკომენდაციები მათ მიერ წარდგენილ იქნება საბჭოს სხდომაზე განსახილველად, საბჭოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს;
4. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს წევრთა ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. იმ წევრებს რომლებსაც ექნებათ განსხვავებული მოსაზრებები შემუშავებულ მოსაზრებებთან ან/და რეკომენდაციებთან დაკავშირებით უფლება აქვთ მერს წარუდგინონ ალტერნატიული მოსაზრებები ან/და რეკომენდაციები. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
5. საბჭოს მდივანი ამზადებს „დასწრების ფურცელს“ სადაც მითითებული იქნება საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღი და დამსწრე წევრების ვინაობა. დასწრების ფურცელს ხელს აწერს საბჭოს სხდომაზე დამსწრე ყველა პირი.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.